# სატენდერო დოკუმენტაცია

შპს „დაირექტ დებიტ ჯორჯია“ ს/კ 205130464 აცხადებს ელექტრონულ ტენდერს **ბრენდირებული თერმო ქაღალდის** შესყიდვაზე.

დაინტერესებულმა პირებმა წინადადება უნდა წარმოადგინონ შესყიდვების ელექტრონული სისტემის- www.tenders.ge საშუალებით

ტენდერი ჩატარდება ვაჭრობის გარეშე.

შესყიდვის ობიექტი:

| პროდუქტი | რაოდენობა |
|---|---|
| **ბრენდირებული თერმული ქაღალდი “EXPRESS BANK”** | 11250 |
| **ბრენდირებული თერმული ქაღალდი “საქართველოს ბანკი“** | 1125 |

***მახასიათებლები***

სიგრძე 200 მ.
სიგანე 79/80 მმ.
სრული დიამეტრი 120 მმ.
გულანის ხვრელის დიამეტრი - 25 მმ.
გრამაჟი - 48-55 გ.
მასალა - თერმო ქაღალდი KT 55 F20 (ან მსგავსი ხარისხის)
შიდა მხარე - ლოგო
გარე მხარე - თერმული საბეჭდი

გადაწყვეტილების მიღებამდე სავალდებულოა პროდუქციის სატესტოდ მოწოდება.

***მოწოდების ვადა***

მოწოდება უნდა განხორციელდეს 3 ეტაპად - 2022 წელში

- I ეტაპი - 15 ივლისი
  ბრენდირებული თერმული ქაღალდი “EXPRESS BANK” - 3750 ცალი
  ბრენდირებული თერმული ქაღალდი “საქართველოს ბანკი“ – 375 ცალი
- II ეტაპი - 15 სექტემბერი
  ბრენდირებული თერმული ქაღალდი “EXPRESS BANK” - 3750 ცალი
  ბრენდირებული თერმული ქაღალდი “საქართველოს ბანკი“ – 375 ცალი
- II ეტაპი - 15 დეკემბერი
  ბრენდირებული თერმული ქაღალდი “EXPRESS BANK” - 3750 ცალი
  ბრენდირებული თერმული ქაღალდი “საქართველოს ბანკი“ – 375 ცალი

მოწოდების და გადმოტვირთვის მისამართი - ქ.თბილისი, ჩაჩავას ქ. # 2-4-6-8-10

***ანაზღაურება***

თითოეული ეტაპის მოწოდებიდან 5 დღის ვადაში.

**სატენდერო პირობები**

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა საჭიროა სისტემაში ატვირთოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული შემდეგი დოკუმენტაცია (PDF ფორმატის ფაილები):

- ✓ **დანართი N1**- კომპანიის რეკვიზიტები;
- ✓ **დანართი N2**- ფასების ცხრილი
    - ფასები დაფიქსირებული უნდა იყოს ევროში, დღგ-ს და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით;
    - ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს პროდუქციის ადგილზე მოწოდება;
- ✓ **დანართი N3**- განხორციელებული პროექტების და შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი;

**ტენდერის მსვლელობის დროს ტექნიკურ და ტენდერის პროცესთან დაკავშირებით კითხვებზე დაუკავშირდით:**

ლელა ტყეშელაშვილი - +995 599 27 87 97;  ltkeshelashvili@ddg.ge **შემოთავაზების**

**მიღების ბოლო ვადაა 30/05/2022 15:00 საათი**

**-** ტენდერში გამარჯვების კრიტერიუმია-ღირებულება და ხარისხი;

- განფასებაში შეცდომის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ერთეულის ფასს;

- სატენდერო შემოთავაზებაში და ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასთა ცდომილების (სხვაობის) შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ელექტრონულად დაფიქსირებულ ფასს;

- გამარჯვებულად მიიჩნევა და ხელშეკრულება დაიდება იმ მონაწილესთან, რომელიც წარმოადგენს უკეთეს ფასს და დააკმაყოფილებს სატენდერო ტექნიკურ მოთხოვნებს;

- ავანსის მოთხოვნის შემთხვევაში დამკვეთი უფლებამოსილია მოითხოვოს საბანკო გარანტია ავანსად გასაცემი თანხის ოდენობით, ასევე შემოსავლების სამსახურიდან გაცემული შედარების აქტი, რომელშიც არ უნდა ისახებოდეს დავალიანება.

- მომწოდებლის მხრიდან შესაძლებელია მოხდეს დასაბუთებული პრეტენზიის წარდგენა 3 დღის ვადაში. ვადის ათვლა ხორციელდება მომწოდებლისთვის იმ ინფორმაციის მიწოდების დღიდან, რომელსაც შეეხება პრეტენზია.

Direct Debit Georgia

- დამკვეთის მიერ შესაძლებელია შეწყდეს ტენდერი, შესაბამისი მიზეზების არსებობის შემთხვევაში, რაზეც აუცილებლად ინფორმირებული იქნება ყველა მონაწილე; ასევე დამკვეთი იტოვებს უფლებას ტენდერი სცნოს ანულირებულად თუ ტენდერში მონაწილეობას მიიღებს მხოლოდ ერთი კომპანია;
- სხვა დანარჩენი პირობები, შემდგომში გამყიდველსა და მყიდველს შორის გათვალისწინებულ იქნება ნასყიდობის შესახებ ხელშეკრულებაში.

**მადლობა დაინტერესებისთვის.**

**გისურვებთ წარმატებას.**